ოთხშაბათი, 1918 წ. თიბათვის 19 № 120

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 1919 წ. თიბათვის 19 № 120

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე—40 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

ხელთნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უხელმოწერო განცხადებანი მასალა უყურადღებოდ იქნება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით ...—18 მ. თვეში (ხელმოწერის ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამხელმძღვანელო განცხადება თითოეული ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული კლუბი. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## ცნობები:

ბაქოდან ჯავშნიან მატარებლით მოსულმა ბოლშევიკებმა სად. სალიართან მომკეს ნათესი და თან წაიღეს.—მალალაშვილის ჯარისა და ბოლშევიკების შუა ბრძოლა გაჩაღდა: მალალაშვილს განჯიდან ჯავშნიანი მატარებლით მთელი ეშელონი მიაშველეს.—ქიურდამირი ბოლშევიკებმა დაიჭირეს. ევლახიდან ოსმალთა ორი ეშელონი მიდის, თბილისიდან მოსული მატარებელი მათმა ეშელონებმა დაიჭირეს და ალმოსავლეთით გაემართნენ.—დონის ოლქში ყაზახები იმარჯვებენ ბოლშევიკებზე.

გულდამწუხრებულნი შვილები: ოლღა და ნინო, სიძე ვასილი არეშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველთა საყვარელ მამის, ხოლო უკანასკნელის სიმამრის

**დავით დავითის ძე გაგუნიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—1665—1

ქ. ფოთში 22 (9) ივნისს დილით შაბათს 12 საათზედ, ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში, ორი წლის შესრულების გამო, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

**კონსტანტინე იაგორის ძე რუხაძის**

სულის მოსახსენებლად რასაც ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, ქვრივი ეფროსინე ილარიონის ასული და შვილი შალვა კონსტანტინეს ძე რუხაძეები 1—1863—1

შაბათს, 22 ამ ივნისს, ქ. სიღნაღში ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში, გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, ბრძოლის ველზედ გმირულად მოკლულ პოლკოვნიკ

**გიორგი პავლეს ძის**

**კობეშავიძის**

სულის მოსახსენიებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულმოკლული მისი ოჯახობა. (1—664—1)

დამწუხრებული შვილი ლევანი, რძალი იულია, შვილის შვილები: მარიამ და პავლე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ

**დავით დავითის ძე გაგუნიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 2—1655—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე ოქროპირის ასული, შვილები: ალექსანდრე, ნოე, ისიდორე და იოსები ერისთავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველის დაუვიწყარ მეუღლის ხოლო დანარჩენთა ძვირფას მამის

**პლატონ (გიჯა) სვიმონის ძე ერისთავის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ს. სალომინაოში შაბათს 22 ივნისს 1—1

მაშასადამე, მთელი მმართველობითი ძალა-უფლება მათს ხელშია. აქედან ცხადია, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც კი მოხდა ჩვენს ქვეყანაში, თუ რამ აირია და გაფუჭდა, წაგვერთვა და დაგვეკარგა, სოციალ-დემოკრატიის საქმეა და მხოლოდ მას მიეკუთვნება.

ჩვენი სოციალისტური მთავრობა და მისი მომხრე წრეები მეტად გაკულადებული არიან იმით, რომ ამ ერთი წლის წინად ხალხი ძალდატანებისა და შეუგნებლობის გამო მათ მიემხრო. ამის გამო ისინი თავისთავს სრულიად უპასუხისმგებლოდ სთვლიან ხალხის წინაშე და უბრალო კრიტიკასა და მათი დამღუპველი პოლიტიკის დაწუნებასაც ვერ ითმენენ.

მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში განაცადმა უბედურობამ საკმაოდ გამოაფხიზლა ქართველი ერი. დღეს ყველა ჰხედავს, რომ იმისთანა მეთაურები, რომელნიც ქართველ ხალხს ჰყავდა ამ ერთი წლის განმავლობაში, მხოლოდ სამოქალაქო ცხოვრების დაშლას და დარღვევას თუ შესძლებენ, მაგრამ ცხოვრების დაწყობის, დალაგების, წესიერებისა და თავისუფლების დამყარებისა, კანონისა და სამართლის დაფუძნების ნიჭი და უნარი მათ არ შესწევსთ.

ამას დღეს მთელი ერი ხედავს და დღეს ადარავის შეურჩენია იმედი, რომ სოციალ-დემოკრატია შესძლებს ჩვენი ქვეყნის გამობრუნებას და წესიერ გზაზე დაყენებას.

მაგრამ ხალხის აზრსა და სურვილს დღეს გასავალი არ აქვს ისევე, როგორც ეს ძველი რეჟიმის დროს იყო, ან იქნებ კიდევ უარესად. სოციალ-დემოკრატიამ იცის თუ რა სწყურია ხალხს, რა ესაჭიროება მას, მაგრამ ის სულ სხვა გზას ადგია, სულ სხვას აკეთებს და სრულიადაც არ ჰფიქრობს იმაზე, რომ თავისი მოღვაწეობა ხალხის მოთხოვნილებებს დაუმორჩილოს.

მთავრობის ბუნება ერთნაირი ყოფილა, სულ ერთია მონარქისტული ეს მთავრობა, თუ სოციალისტური. ის ყოველთვის ებღაუჭება ძალა-უფლებას და არ სთმობს მას ნებით, რაც უნდა დარწმუნებული იყოს, რომ ასეთი მთავრობა ხალხს უკვე არ სურს. სხვა ქვეყნებში მთავრობას პარლამენტები ითხოვს, როდესაც მთავრობის პოლიტიკა ხალხს არ აკმაყოფილებს. ჩვენ არ გვაქვს ჯერ პარლამენტი და ეხლანდელი ჩვენი ეროვნული საბჭო კი ერთნაირად სოციალისტებისაგან შედგება და რასაკვირველია იქ ეხლანდელს მთავრობას ყოველთვის დიდი უმრავლესობა ექნებათ.

მაგრამ მთავრობისათვის არ არის საიმედო ასეთი ხელოვნური საშუალებებით ეხლანდელი თავის პოლიტიკის გაგრძელება. მას ვერ მოხსნის პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე ის ცილისწამებები და ბრალდებები, რომელსაც ისინი თავის მოწინააღმდეგების წინააღმდეგ აწევიან. მართალია თქმულება—გალმა გადავა და გამოღმა შეგრჩებაო, მაგრამ ასეთი გალმა გადავლება ყოველთვის არ გასჭრის. თავისი ცოდვები და თავისი შეცდომები რომ სოციალ-დემოკრატიამ სხვას მიაწეროს, ხალხი ეხლა უკვე ისე ბრმა არ არის, რომ ეს შესაფერისად არ დააფასოს.

მრავალჯერ გაგვიფრთხილებია ჩვენი სოციალისტური მთავრობა, მაგრამ მას არასოდეს არ გაუწევია ანგარიში ხალხის... გონიერი რჩევისათვის და ის დღემდის აწარმოებს ისეთს პოლიტიკას, რომელმაც ჩვენ ბევრი რამ დაგვიკარგა და შეიძლება კიდევ ბევრი დაგვიკარგოს.

სოციალდემოკრატები ურცხვილოდ ბრალს სდებენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომ მან უცხო ძალა შემოიყვანა საქართველოში, ვითომც-და თავის პარტიული მიზნებისათვის. განა თვით მთავრობის თავმჯდომარემ არ განაცხადა საბჭოში და ეს ისედაც ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ეს უცხო ძალა შემოიყვანა თვით მთავრობამ და ეს ძალა ამ მთავრობის განკარგულებაშია. დღეს ეს ძალა საქართველოს საზღვრებს იცავს მტრის შემოსევისაგან და გერმანიის ჯარების ასეთი თავგანწირული ბრძოლა საქართველოს დასაცავად, ყოველს ქართველში წრფელი მადლობის გრძნობას უნდა იწვევდეს.

მაგრამ არ არის საკმარისი გარეშე საზღვრების დაცვა. საჭიროა შინაური წესრიგის აღდგენა, ანარქიის ჩაქრობა და მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება. ეს საქართველოს მთავრობის მოვალეობაა და ეს მან უნდა მოახდინოს დაჩქარებით. ამისთვის საჭიროა ნამდვილი ჯარის შექმნა და ანარქიასთან იარაღით ბრძოლა და არა ცარიელი სიტყვებით მუქარა.

შესძლებს თუ არა ამას ეხლანდელი მთავრობა? მან უნდა შესძლოს ეს და უნდა იცოდეს, რომ თუ ის ამ გზას არ დაადგება და საკუთარს ძალას არ შექმნის საქართველოში დაჩქარებით წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენად, „ერთობის“ ლათაიები მას ვერ გაანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ხალხის წინაშე. გერმანელები მთავრობამ მოიწვია საზღვრების დასაცავად, ვინაიდან მას საკუთარი ძალა არ შესწევდა და ეხლა მან შინაური წესრიგიც რომ ვერ დაიცვას ვინ შეიძლება იყოს ამისთვის პასუხისმგებელი გარდა იმ პარტიისა, რომლის ხელშია მთავრობის ყოველივე ძალა-უფლება?

## არ ვიცოდი!

როგორც იმას არ მოველოდი, რომ ქართველთა შორის აღმოჩნდებოდენ ისეთნი, რომ კაცს მოჰკლავდენ და შემდეგ მის ხორცს ძაღლებს შეაჭმევდენ, ორსულ დედაკაცებსა და უსუსურ ბავშვებსაც კი არ დაინდობდენ და საზოგადოდ ადამიანის სიცოცხლეს ჩალადაც არ დააფასებდენ, ისე იმას ვერ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოში იქნებოდა ისეთი პარტია, რომელიც თავის მოპირდაპირესთან ბრძოლაში ისეთს სამარცხვინოს, უშვერსა და უსინდისო საშუალებას იხმარდა, რომლის ხმარებაც იკადრა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ეროვნული დემოკრატიის სახელის გასატეხად ეროვნული საბჭოს 18 ივნ. სხდომაზე.

არ ვიცოდი ამ პარტიის ბელადთა პოლიტიკური ზნეობის სიკოტრე თუ ასეთი იყო! არ ვიცოდი მათი გული თუ ასე ბოროტი და მათი გულისთქმა ასე არაკეთილშობილი იყო!

ჩვენი სოციალდემოკრატების მამამთავარმა—ნოე ჟორდანიამ—ურცხვად დაგვწამა: თქვენ—ნაციონალდემოკრატები—საქართველოს დამოუკიდებლობის მოსასპობად უცხო ძალას დაემყარებითო.

ნოე ჟორდანია, როგორც ვიცით, ყოველთვის წინასწარმეტყველის როლს თამაშობდა, სიბერის დროს ხომ სივილად გადაიქცეულა!

ვის გაუგონია, ვისმე უთხრან: შენ ჯერ არაფერი მოგიპარავს, მაგრამ ოდესმე მოიპარავ, მაშასადამე ქურდი ხარო!

ვის გაუგონია, პარტიას მოღალატეობა დასწამონ და მისი პატიოსანი სახელი ლაფში ამოსვარონ იმისდა მიუხედავად, რომ მისი ახალგაზრდობა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის სისხლსა ღვრიდა და ღვრის, მისი მოხუცნი კი სამშობლოს იდეას ნიადაგს უმზადებდენ და გზას უკაფავდენ!! და ვინ მისცა უფლება ნოე ჟორდანიას წაეყენებია ეროვნული დემოკრატებისათვის ასეთი ცრუ ბრალდება: რა ვუყოთ, სამშობლოს დამოუკიდებლობის მოსასპობად რომ უცხო ძალას ჯერ არ დამყარებიხართ, სულ ერთია, როცა იქნება, დამყარებითო!

ოჰ! რა საშინელია ზნეობრივი სიკოტრე!

უნდა მოგახსენოთ კი, რომ ნოე ჟორდანიის პოლიტიკური დაქვეითება კაი ხანია დაიწყო. წაიკითხეთ მაგალითად, მისი ერთი უბადრუკი წიგნაკი—„ნაციონალური საკითხი ჩვენში“, რომელშიაც ის ამტკიცებს, საქართველო უბრალო ავტონომიის ღირსიც კი არა, ვინაიდან საქართველოში ქართველთა რაოდენობა ორმოცდა-რვა პროცენტი და არისო! და თავისი აზრის (?) დასამტკიცებლად იმის გარდა, რომ ცრუ კალენდრულ სტატისტიკას ემყარება, მის მიერვე მოყვანილი ცრუ ციფრების განზრახ ცუდად გამოანგარიშებით ცრუ დასკვნას აკეთებს და საქართველოში ქართველთა პროცენტულ რაოდენობას მთელის ცხრა პროცენტით ამცირებს!

მაშ როგორ არ უნდა ვსთქვათ პოეტთან ერთად, „ჩარხი უკუღმა ტრიალებს, ბრიყვი და უგუნურები თავში უდგანან ჰკუიანებსო“, როდესაც ნოე ჟორდანია, რომელიც სამშობლოს იდეის წინააღმდეგ ბრძოლაში დაბერდა, ჩვენ, სამშობლოს იდეისათვის მებრძოლთ, სამშობლოს მოღალატეობას გვწამებს!

ამისდა მიუხედავად მთავრობის ოფიციოზური გაზეთი (იხილე 18 ივნისის „ერთობა“), ნოე ჟორდანიას კუროთხევით გათამამებულნი, უკვე პირდაპირ ამბობენ, ეროვნული დემოკრატები რესპუბლიკის სუვერენობის მოსასპობად არა თუ ოდესმე დაემყარებიან, არამედ უკვე ემყარებიან უცხო ძალასო! საკვირველი არ არის, რომ სიფიცხეში მოწაფეებმა გაასწორეს მოძღვარს! მათი პოლიტიკური სინიდისის გაკოტრება კი სწორედ საკვირველია!

იმავე დროს გული გვტკივა, როდესაც ის პარტია, რომელიც განაგებს დღეს რესპუბლიკას, იმდენად ანტიპარლამენტარული და ანტილიბერალურია, რომ მოპირდაპირე პარტიის ოპოზიცია—ღალატად მიიჩნია!

მაგრამ, დიდო ბატონებო, ოპოზიციაში, ვიცით, რისთვის ჩავდექით?! მიტომ, რომ თქვენს ცრუ პოლიტიკას ფარდა ავხადოთ და გაგაფრთხილოთ!

უცხო ძალას ჩვენ კი არა, თქვენ

## სიფრთხილე გვმართებს

წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი ძალა-უფლება სოციალ-დემოკრატებს უპყრიათ ხელში. რევოლიუციის პირველ ხანებში ხალხი ისეთს აღფრთოვანებას და გატაცებას განიცდიდა რომ მან ვერ შესძლო პოლიტიკური მდგომარეობის სწორედ შეფასება და სოციალ-დემოკრატების ბადეში მოჰყვა. დამფუძნებელი კრების არჩევნებში როგორი ძალდატანება და საარჩევნო ოინები მოიხმარეს მათ, ეს ყველამ ახსოვს.

ასეთი საშუალებით მათ შეკრიბეს ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობის ხმები. ამის შემდეგომ იწყება მათი უკანონო ბატონობა ხალხზე. მინისტრიდან დაწყებული უბრალო დარაჯამდე ადგილები მათ უპირავთ, და

ემყარებით. ჩვენი პარტიის ხალხი თქვენისა და სხვა პარტიის მეომრებთან ერთად უცხო ძალის დახმარებით იცავს სამშობლოს. და უცხო ძალას მიტომ ემყარებით, საკუთარი ძალა რომ არა გყოფნით!

ის კი არ არის საშიშარი, მთავრობა რომ სოციალისტური არაა: ვის ენაღვლება ჩვენი სოციალისტობა თუ არა სოციალისტობა?! არამედ ის იქნება საშიშარი, სამშობლოს დაცვას თუ საკუთარი ძალით ვერ შევსძლებთ!

და, თუმცა თქვენ მიერ ამოთხრილის უშვერი ცილისწამების შემდეგ თქვენთან ლაპარაკი მეტია, მაგრამ მაინც მოვალე ვართ ვთქვათ: ჩვენი რესპუბლიკის სუვერენობის შესარჩენად უპირველესად საკუთარი სამხედრო ძალაა საჭირო.

სოციალ-დემოკრატები კი ძველი გზით სიარულს განაგრძობენ. მათი ფინანსიური პოლიტიკა ყალბია, მათი დაპირება ძლიერი ჯარის შექმნის შესახებ—ცალიერი დაპირებაა, მათი მიწის დეკრეტი—ანარქიასა ქმნის და მეურნეობას ანადგურებს, მათი კომისრების უპასუხისმგებლობა საშარაკოა, მათი აღმასრულებელი კომიტეტების უმოქმედობამ სოფელი გაავერანა, საზოგადოდ მათმა კომიტეტებმა ხაზინა გააკოტრეს, ვაჭრობა-მრეწველობა გაანადგურეს და თავისუფლება შებოჭეს.

აი რატომ ვართ ოპოზიციაში.

დიახ! ოპოზიციის. ულმობელი კრიტიკის წარმოება—ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობაა!

და, ჩვენი სოციალ-დემოკრატია თუ ოპოზიციას ვერ ითმენს, ეს მხოლოდ მისი პოლიტიკური გახრწნილებისა და უსუსურობის ნაყოფია.

გახიდ წერეთელი.

## დღევანდელი ვითარება და ჩვენი მთავრობის მოვალეობა

თითქმის ოცი დღეა, რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და ამიერკავკასიის ხანმოკლე სეიმის ნამტვრევებზე იქნა აღდგენილი ქართველი ერის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამ დიდებულ აქტს, სამწუხაროდ, ვერ შეხვდნენ შესაფერი ზეიმით და აღფრთოვანებით: თვით ჩვენი მესვეურნი თითქოს გლოვობდნენ ამ მშვენიერი ბავშვის დაბადებას. მათ აღრევე ეგონათ ამიერკავკასია ფეხმძიმეთ ცენტრალისტურ რესპუბლიკით, ან-და შემადგენელ ერთეულებათა ფედერაციით, ნაცვლად კი შვა საქართველოს თავისუფალი რესპუბლიკა. ასეთი სიურპრიზი მათთვის შეიქნა მოულოდნელი და ამ სრულიად ბუნებრივ მოვლენას უწოდეს: „იძულებითი ნაბიჭვი". ეჭვი არაა, ასეთი ბებია-ძიძები ხელს არ დააყრიდნენ ახლად შობილ ყრმას და ამ მზრუნველობის ნაყოფი ვიგემეთ კიდეც პირველსავე დღეს, როცა ვიღაც ფანატიკოსმა „აფხანიკმა" ჩამოგლიჯა საბჭოს შენობის თავზე მოფრიალე საქართველოს ეროვნული დროშა და ნაცვლად აღმართა ისევ წინანდელი წითელი სარევოლიუციო ბაირაღი რუსული ზედწარწერით: „გაუმარჯოს რუსეთის დამფუძნებელ კრებასაო". ამას მზერს საქართველოს მთავრობა, ამას ითმენს ქართველი ერი...

ცისა შიგნიდან გატყდებაო, ნათქვამია. და ამ გატეხილ ცაში თამამად იწყო ხელის ფათური ყოველმა ბინძურმა არსებამ, გარეშემ და შინაურმა, რადგან სინდისი არ აწუხებთ და დასჯასაც არავისაგან ელიან. ასისინდნენ გველის ენები; ქუჩა, ფოიერი და გაზეთები გაივსნენ ლანძღვა-გინებით, საქართველოს რესპუბლიკის ქირდვით, დაცინვით და დამცირებით. ყველაზე უფრო ბრაზმორეულად ილანძღებოდნენ, რასაკვირველია, სომხები და ჩვენი 117 წლის ბატონები—სკვითები, ე. ი. რუსები. საქართველოს მთავრობა, ქართველი ხალხი და საზოგადოება ისმენენ ამ სიტყვებს და სდუმან...

მეტად საგულისხმიეროა აგრეთვე სამი რამ: 1. სოციალდემოკრატიულ გაზეთის „ერთობის" ამ ბოლო დრომდე შუბლზე ეწერა: „რუსეთის ს.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო"; და როცა უკუიღეს ყოველი მხრიდან, როგორც იყო, მოშალეს სიტყვა „რუსეთის" და მის მაგიერ დააწერეს „ამიერ-კავკასიის". თვით დამოუკიდებელ საქართველოშიაც კი ვერ გაბედეს და ვერ მოინათლენ ნამდვილი სახელით, ე. ი. ვერ უწოდეს თავისთავს: „ქართული ან საქართველოს ს.-დემოკრატიული მუშათა პარტია". ამაზე შორს არას დროს არ წასულა ადამიანის სულიერი მონობა და ბრმა ფანატიზმი.

2. ს.-დემოკრატიული ორგანო რუსული გაზეთი „ბორბა", ამიერ-კავკასიის ყოფილ მთავრობის ოფიციოზი, დღემდე ილანძღება ლორბლით პირში, უშვერი ენით ქირდავს საქართველოს რესპუბლიკას და მის მთავრობას. მთავრობა კი კითხულობს დინჯად ყოველივე ამას და ითმენს...

3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღეს მოხდა ქალაქის თვითმმართველობის კრება. საბჭოს თავ'ჯდომარემ წაიკითხა საქართველოს რესპუბლიკის დეკლარაცია, რომელსაც სამგლოვიარო დუმილით შეხვდნენ საბჭოს წევრები და უბრალო ფეხზე ადგომითაც კი არ სცეს პატივი ამ დიდებულ აქტს. ცრუ ესერმა სომეხმა ხუდადოვმა კი წარმოადგინა შემდეგი რეზოლიუცია: „საბჭომ მოისმინა რა დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, გადადის მორიგ საკითხებზე", თითქო ეს აქტი ეხებოდა მთელი ერის განთავისუფლებას კი არა 120 წლის მონობისაგან, არამედ ბრინჯის, ან ვერმიშელის გაყიდვას.

აი რა რიგად დაგვამცირეს და გვამცირებენ ჩვენსავე დედაქალაქში ურცხვი მეთაურები იმ ერისა, რომელიც შეიხიზნა საქართველომ მეთერთმეტე საუკუნის დამლევიდან, დაიცვა თავის საკუთარი სისხლით 800 წლის განმავლობაში აზიის ბარბაროსთაგან და იხსნა სრულიად მოსპობისაგან! ამაზე შორს ვერსად წავა ადამიანის ცინიზმი და უმადურობა...

აღარ შევჩერდებით აქ სხვა ამგვარ „სასიამოვნო" ამბებზე, რომელთა ანუსხვა მეტად შორს წაგვიყვანს. აქ გვწადია მხოლოდ აღვნიშნოთ მოკლედ თუ რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი მთავრობა, რა აქვს მას ამ თავითვე უმთავრესი საზრუნავი და საკეთებელი.

მეტად დაგვიანდა და ფრიად მძიმე პირობებში მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამ ხანებში ჩვენ უკვე დავკარგეთ ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები, ჩვენი საუკეთესო ბოლაზი და სიმაგრენი, დავკარგეთ ბათუმსა და ყარსში დაგროვილი სურსათი და მილიარდებათ ღირებული სიმდიდრე, დავკარგეთ ბათუმთან ვაჟკაცობა და იქვე დავმარხეთ პატრიოტული სული, რომლითაც განთქმული იყო ქართველი ერი და ახდენდა სასწაულს. 1500-მა მშიერმა და შიშველმა ასკერმა თითქმის უომრად აიღო ბათუმის უმაგრესი ციხე, დაატყვევა ჩვენი სამხედრო შტაბი და თხებივით გარეკა 14,000 ქართველი მეომარი.

თავის გაჩენის დღიდან საქართველოს არ ახსოვს ასეთი შერცხვენა და ასეთი საარაკო სილაჩრე! ეს საშინელი მარცხი დაგვემართა ჩვენ და ეს საუკუნო ჩირქი მოსცხო ქართველ ერს რუსეთის დამახინჯებულმა სოციალისტურმა მოძღვრებამ, რომლის სამსალამ ამოაშრო ჩვენი ერის სულში სამშობლოს უწინდელი სიყვარული და დაუკარგა ვაჟკაცობა.

ყოველივე ამას მოჰყვა ლოგიკურ შედეგათ ოსმალთა გათამამება, მათ მიერ მთელი ახალციხის, ჯავახეთის და ბორჩალოს წართმევა, ჩვენი რკინის გზების დაკავება და ნემცების ჩარევა ჩვენს შინაურ საქმეში, რათა მათი მეოხებით მაინც შევინარჩუნოთ არსებობა და შუაზე გაკვეთილი წამებული სამშობლო.

საქართველოს რესპუბლიკის ახალ მთავრობას ხვდა სამკვიდროთ, ამიერკავკასიის უდღეურ რესპუბლიკის მიცვალების შემდეგ, ფრიად დაბურდული ფინანსები, უვარგისი და უმოქმედო სახელმწიფო აპარატები თავის მრავალრიცხოვან შტატებით, დარბეული არსენალი და საწყობები, რომელთაგანაც აღრევე გაიტაცეს ას მილიონებათ ღირებული სამხედრო იარაღი, სურსათი და ათასგვარი საქონელი.

ამ მთავრობას ხვდა წილად რევოლიუციის სიმახინჯე—სახურხათო კომიტეტი, რომელთაც შეაჩერეს თავისუფალი ინიციატივა, დამბლა დასცეს ვაჭრობასა და მრეწველობას, გაჰყვნეს ბანკების ოპერაციები, წარმოშვეს აღვირახსნილი სპეკულიაცია და საარაკო სიძვირე ყოველივე დარგში. ამ აწეწილ დროს არიან ხალხნი, რომლებიც მშვენივრათ გრძნობენ თავს ივსებენ მშიერ კუჭსა და ცარიელ ჯიბეს. მათი რიცხვი საკმაოთ ბლომადაა და ეკუთვნიან სხვადასხვა კატეგორიას. არიან აგრეთვე პირნი, რომლებიც დილიდან საღამომდე უსაქმოთ დასეირნობენ ავტომობილებით თბ. ქუჩებზე, ასეირნებენ თავიანთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, არ აკეთებენ ერთი გროშის საქმესაც კი. ესენი გახლავან სამხედრო შოფერები. ამათი შენახვა და ავტომობილების ხარჯი უჯდება მთავრობას წელიწადში 15 მილიონი მან. და ეს ამოდენა ფული იკარგება უსარგებლოთ.

ამიტომ ჩვენმა ახალმა მთავრობამ უნდა მიაქციოს ყოველივე ამას ჯეროვანი ყურადღება და მიიღოს ფიცხელი ზომები. რევოლიუციის ნანგრევებზე მან უნდა შექმნას ახალი სახელმწიფო ფორმა და ხალი აპარატები. ამ მთავრობამ უნდა მოახდინოს სიჩქარით ყოველივე დარგში სრული ნაციონალიზაცია, ე. ი. ქართულ ენაზე უნდა მოაწყოს ყოველგვარი საქმის წარმოება და მართვა-გამგეობა, ამავე დროს კი უნდა მოახდინოს ძველი რეჟიმისა და რევოლიუციის დროს წარმოშობილ მავნე და უვარგის დაწესებულებათა სრული ლიკვიდაცია (გაუქმება).

ამ მიზანთა განხორციელება მოითხოვს ბუმბერაზულ მუშაობას, ცოდნას, ნიჭსა და გამოცდილებას. ამიტომაც ჩვენმა მთავრობამ უნდა მოიწვიოს თანამშრომლებათ მცოდნე, პატიოსანი, მშრომელი და ნიჭიერი ქართველები, მიუხედავათ მათი პოლიტიკური მრწამსისა და მათი დახმარებით უნდა აღასრულოს ეს მძიმე საქმე.

ახლა ეყრება საფუძველი ქართველი ერის ახალ ცხოვრებას, ახლა შენდება საქართველოს სახელმწიფო ფორმები, ახლა გვეპყრება კოლხეთ-იბერიის შვილთა ინიციატივა, ნიჭი, ხალისი, აღფრთოვანება, ცოდნა, მხნეობა, შემოქმედება, შრომის უნარი და საქმიანობა. ფრიად დიდი მოვალეობა გვაწევს კისერზე და სასახელოთ უნდა შევასრულოთ ეს დიდებული საქმე, თუ ვართ ღირსი შვილები ჩვენი წინაპრებისა. და თუ სათავეში მდგომი ესა თუ ის პირი, ან ჯგუფი, ატყობს თავისთავს სუსტათ და არ ძალუძს ამ ფრიად მძიმე ტვირთის შესრულება, მათი ზნეობრივი მოვალეობაა ახლავე განშორდნენ საქმეს და დაუთმონ ადგილი უფრო მომზადებულ და საქმიან პირთ. და თუ ნებით არ წავლენ, თვით ისტორიის ულმობელი ცოცხი გარეკავს მათ. ასეთია ცხოვრების სადი ლოგიკა.

ს. ქვარიანი.

## პრესა

გაზ. „ერთობა"-ს მოჰყავს ჩვენი ამონაწერი მტრების და მოღალატეების სასტიკ დასჯაზედ და იეზუიტურად გვეკითხება: „მისმა („საქართველოს") მიმდევრებმა აშკარად გამოსთქვეს ეროვნულ საბჭოში გარეშე ძალაზე დაყრდნობის სურვილი, რაც ალბად ღალატსაც ნიშნავს. რას ურჩევს ამის გამო „საქართველო", ჩვენს მთავრობას? საჭიროა თუ არა ბრძოლა მათ წინააღმდეგ?" და ჩვენ აშკარად ვამბობთ: თუ ქვენი შეთხზული ჭორი მართალი ჰგონია მთავრობას და საბუთი აქვს ამ ჭორის ცოცხლდენი სიმართლისა—უნდა სამართალში მისცეს ყველა მოღალატე და დასაჯოს. მაგრამ თუ ეს ღალატი თქვენს პარტიაში აღმოჩნდება, არც თქვენ უნდა დაგზოგოთ, და მარტო ამის გამოა, მგონი, რომ მუქარები ბევრი გვესმის და სისამართლის დამსჯელი ხელი კი არ გვინახავს.

## მთავრობის წრეებში

დღეს სასახლეში შესდგება მთავრობის სხდომა. განხილული იქნება ბონების გამოშვების საკითხი; სხდომას დაესწრებიან სომეხთა და მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

—

რადგანაც განკარგულება იყო მიწათ-მოქმედების მინისტრისთვის გადაეცვათ სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო აღწერის სტატისტიკური ცნობები, რუსთა ეროვნულ საბჭომ იშუამდგომლა ეს ცნობები ცენტრალ ბიუროს დაუტოვოს, რათა უკანასკნელმა საბოლოოდ მოუყაროს თავი მათ, მით უმეტეს, რომ საამისო ფული უკვე გადადებულია არა ამიერკავკასიის ან საქართველოს მთავრობის მიერ, არამედ სახ. კომის. საბჭოს მიერ.

—

სწავლა-განათლების სამინისტრო შუამდგომლობს 37620 მან. გადაიდოს ქუთაისის გუბერნიის ყოფილ საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად, ხოლო დღიურ ჯილდოს მისაცემად სამინისტრო 75000 მანეთს თხოულობს.

## ქრონიკა

### თბილისი.

◆ ეროვნ.-დემოკრატიული ფრაქციისა და საზოგადოდ ეროვნულ საბჭოს შესახებ ცნობები და მასალები შეგვიძლიათ მოკითხოთ ფრაქციის საქმის მწარმოებელს დილის 11—3 ს. და საღამოს 7—9-დის.

◆ მეორე რაიონის კრება. პარასკევს, 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. ტფილისის მე-2 რაიონის წევრთა საზოგადო კრება. ი. მაჭავარიანი წაიკითხავს მოხსენებას: „საქართველო მე-18 საუკუნის მიწურულში და ეხლა".

◆ ერ.-დე. სტუდენტების კრება. ხუთშაბათს, შუადღის 1 ს., დანიშნულია ერ.-დ. სტუდენტების კომიტეტის კრება, რისთვისაც ფრიად საჭიროა კომიტეტის ყველა წევრის დასწრება. შაბათს კი მოხდება ორგანიზაციის საზოგადო კრება.

◆ საქ. ერ.-დემოკ. პარტ. პირველ რაიონის კომიტეტი (კოოპერატივ „დახმარების" გვერდით ოლდის ქ. № 28. ოთხშაბათს, 19 ივნისს, საღამოს 6 ს. იწვევს საზოგადო კრებას. შ. ქარუმიძე წაიკითხავს მოხსენებას „მომენტის შესახებ".

◆ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". რედაქციამ მიიღო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" მორიგი ნომერი. ჟურნალი კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი, მოთავსებულია სურათები: გრაფ შულენბურგისა, მიხაკო წერეთლისა, პეტრე სურგულაძისა, გ. მაჩაბლისა და სხვა მრავალ საქ. მოღვაწეებისა.

◆ დღეს, შუადღის 12 ს. „ჯეჯილის" რედაქციის ბინაზე (არტილერიის ქ. № 5) დანიშნულია საბავშვო ლიტერატურის კომისიის კრება.

◆ გადმოხვეწილთა მთავარ კომიტეტს ბაკურიანიდან დეპეშით ატყობინებენ: აქ 40,000-დე სომეხმა გადმოხვეწილებმა მოიყარეს თავი. მათგან ნახევარი ღვთის ანაბარად ყრია ცის ქვეშ და სრულიად უსურსათოდ იმყოფებიან. ბორჯომის სომეხთა და ადგილობრივი ინტერნაციონალური კომიტეტები შეთანხმებული მუშაობენ. ვცდილობთ ობლები ბორჯომში და სურამში გადავიყვანოთ. საექიმო-სასანიტარო რაზმი მხნედ მუშაობს. თბილისიდან მოსული სომეხთა, ქართველთა და მაჰმადიანთა დელეგაცია დღეს ახალციხეს მიემგზავრება. არდაგანელების გარდა იმედი გვაქვს ყველანი დავაბრუნოთ. საერთო მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება. დიდი გასაჭირია უპურობის მხრივ. ბევრი ბალახით იკვებება. საჭიროა გამოიგზავნოს ფქვილი და ფული.

◆ [illegible] ზედამხედველად ახალგაზდა მგოსანი ა. აბაშელი (ალიონელი) დაინიშნა.

◆ თბ. მუშ. და ჯ. ქ. საბჭოსთან კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების თხოვნით არსდება ცალკე სექცია ამიერ-კავკასიის 1917 წლის რევოლიუციის შესასწავლად.

◆ საქართველოს ეროვნულ საბჭოს აგრარულ კომისიაში წარმოდგენილი იქმნა კანონპროექტი ქალაქს გარედ მყოფ ზოგიერთი ადგილმამულების ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვის მოხსნის შესახებ.

◆ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა უმცროს მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირმა ჯამაგირების და ჩრილების ახალი ნორმები შეიმუშავა და ცდილობს ეს ნორმები ცხოვრებაში გაატაროს. პროფესიონალურ კავშირის გამგეობა სთხოვს შრომის კომისარს დახმარება აღმოუჩინოს მას ამაში. შრომის კომისარს საჭიროდ მიაჩნია მთავრობასთან შესდგეს საუწყებოთაშორისო თათბირი და სდგანდეს კომისია პროფ. კავშირის წარმომადგენლებით.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

### თიბათვის 15 სხდომა

(გაგრძელება *)

მთავრობის შინაური პოლიტიკა უფრო გაბედული და უფრო გარკვეული უნდა იყოს. მთავრობა გვპირდება, რომ ის ხელს შეუწყობს სოციალურ კანონების და მუშათა კანონმდებლობის განხორციელებას. მე ვფიქრობ, რომ ეს აზრი დეკლარაციაში ცოტა გაურკვევლად და გაუბედავად არის გამოთქმული. ჩვენ გვწამს, როცა მშრომელ ხალხის ინტერესები დაკმაყოფილებულ იქნება და სოციალური კანონმდებლობა განხორციელებული, ჩვენი მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ მშრომელ ხალხს, რომლის მარჯვენამაც მოახდინა დიდი რევოლიუცია და რომლის მარჯვენამაც გამოიყვანა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დეკლარაციაში ზოგიერთი გარემოება არ არის ჯეროვან ხაზ-გასმით აღნიშნული და გათვალისწინებული. მაგრამ თუ ყოველივე ამას დასძლევს ჩვენი მთავრობა და უზრუნველჰყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას, ყველა ეს ადვილი დასაძლევი იქნება და არაფერს წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტის დაცვასთან.

ს. ფირცხალავა. მთავრობამ სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს ორი დიდი მცნება, ორი დიდი აზრი.

ჩვენს მთავრობას ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ის დღეიდან სახელმწიფოს ჰქმნის, რომ ის დღეს ეწევა სახელმწიფო მოღვაწეობას.

დღემდის ჩვენ ყველანი პარტიულ მუშაობას ვეწეოდით.

პარტია წარმოადგენს თავისუფალ ორგანიზაციას, სადაც მოქალაქე ემყარება თავის ნებისყოფას.

სახელმწიფო სულ სხვაა. იგი იძულებითი ორგანიზაციაა და აქ საჭიროა მორჩილება კანონის წინაშე და მკაცრი დისციპლინა. რომაელები ამბობდნენ: კანონი მკაცრია მაგრამ იგი კანონია. ასევე ითქმის სახელმწიფოზე. სახელმწიფო მკაცრია, მაგრამ იგი სახელმწიფოა. სახელმწიფოს აქვს თავისი ორგანოები და მათ მოთხოვნილებათა დათმობა შეუძლებელია რამე შებრკოლებით.

მართალია დღევანდელ დემოკრატიულ სახელმწიფოში მთელი ხალხი იღებს მონაწილეობას კანონების გარჩევაში და შემუშავებაში, მაგრამ რაკი კანონი შემუშავდა და გამოქვეყნდა საქართველოს ფარგლებში არავინ უნდა დარჩეს კანონის [illegible]. აი ეს იდეაა სახელმწიფოებრივი, ეს სიმკაცრე სახელმწიფოსი სახელმძღვანელოდ უნდა ჰქონდეს ჩვენს მთავრობას. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა არის, რომ დღეს საქართველო გვქონდეს ქართველ ერის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად.

ქართველი ერი თავის სახელმწიფოში ეძებს თავის ნიჭის, თავის სულიერ ძალის უზენაეს განვითარების ასპარეზს.

სახელმწიფომ უნდა გაუშალოს გზა ქართველ ერის შემოქმედებისაკენ. მან უნდა მისცეს ფართე ადგილი ნიჭის სავარჯიშოთ, სულის მოღვაწეობისათვის.

ამ მხრივ მთავრობის პოლიტიკა უნდა იყოს წმინდა ეროვნული პოლიტიკა. და ეს უნდა გამოიხატებოდეს არა მარტო საზღვრების დაცვაში, არამედ მან ფართოდ უნდა გაშალოს ქართველ ერის თავისებურობა.

რასაკვირველია ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ტერიტორიაში ვინმე არა ქართველი რაიმე შევიწროებას განიცდის მომავალში. არა

*) იხ. „საქართველო" № 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია. ჩვენ რომელმაც განვიცადეთ რუსეთის კირთები, როგორ შეგვიძლიან ადვილათ ხელი ვისმეს თავისუფლების წინაამდეგ!

ყოველი არა ქართველი საქართველოში უნდათ ხედავდეს არა დედინაცვალს, არამედ ნამდვილ დედას.

საქართველო არის ქართველ ერის კულტურული სახელმწიფოებრივ ორგანიზაცია თუ ჩვენს მთავრობას არ ექნება ღრმად შეგნება სახელმწიფოებრივ იდეისა, თუ არ განიმსჭვალება ღრმა რწმენით ქართველ ეროვნებისადმი—ვერ შეასრულებს იმ საქმეს, რომელიც დააკისრა ისტორიამ.

ჩვენ ღრმად გვწამს რომ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთავრობა ღრმად იქნება გამსჭვალული ამ იდეით-

ღრმად გვწამს, რომ იგი დაეყრდნობა ქართველ ხალხის შემოქმედებას და პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

განამტკიცებს საქართველოს, დაიცავს საქართველოს სუვერენულ უფლებას და მით მოახერხებს ქართველ მშრომელ ხალხის და საერთოდ მთელ ხალხის უდიდეს იდეალის, სოციალიზმის განხორციელებას (ტაში).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს კონსტანტინე აფხაზს.

კონ. აფხაზი. (უპარტ.) ბატონო თავმჯდომარევ, ბატონნო საქართველოს საბჭოს წევრნო.

ჯერ პირველ ყოვლისა მე მივესალმები შემდეგ სიტყვებს დეკლარაციისას: „მთავრობამ გამართა მოლაპარაკება გერმანიის დელეგაციასთან.

და გერმანიამ აღუთქვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და მის ტერიტორიის დაცვა.

მართლა რომ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა როგორც ჩვენი პატარა ერი, ისე სომხეთი და თვით ადერბეიჯანი იმ მიმდინარეობისაგან, რომელიც ამ უკანასკნელ დროს იყო გამოწვეული ოსმალეთის მიერ. მართლაც რომ ჩვენ დავაწყვეთ თავი სრულიად მოსპობს დედამიწის ზურგზე.

რაც შეეხება თვით მთავრობის დეკლარაციას მის შესახებ მოკლედ მოგახსენებთ, რადგან იგი მხოლოდ დღეს იყო დარიგებული და მის ყოველ მხრივ შეხებას ვერ გავბედავ.

დეკლარაციის პირველი ნაწილი შეეხება პოლიტიკას საგარეოს, ხოლო მე-2 ნაწილი შინაურ საქმეებს.

პოლიტიკურ საკითხზე, ე. ი. იმ ზავზე, რომელიც დღეს ჩვენ ხელშია მე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ჯერ ერთი საკმარისი მასალა არა გვაქვს, რომ მართლა შეიძლებოდეს დასაბუთება იმ ნაბიჯების, რომლებიც იყო გადადგმული მთავრობის მიერ. გარდა ამისა მოწონებაზე რომ არა ვთქვათ არ აქვს საბუთები რომ დაწუნებაზე ვილაპარაკოთ. ისტორია გამოარკვევს, როგორი იყო ის გარემოება, რომელშიაც ვიყავით ჩვენ.

რათ ჩამოგლიჯეს ჩვენს ქვეყანას საუკეთესო ნაწილი ამას ისტორია დააფასებს.

მაგრამ ერთი საიმედო რამ კიდევ არის დეკლარაციაში. ეს გახლავთ კონსტანტინეპოლის კონფერენცია. შეიკრიბება კონსტანტინეპოლის კონფერენცია და იქ იქნება სჯა ჩვენს მდგომარეობის შესახებ. შეიძლება ამ კონფერენციამ ისე არ გადასწყვიტოს საქმე. როგორც ჩვენ გვსურს, შეიძლება ამ კონფერენციაზე არ დასთანხმდნენ ჩვენს პირობებს. ამის გამო მთავრობამ ეხლავე ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემოებას და ნაბიჯები გადადგას, რომ ჩვენი ბედის გასამართლება გადავიტანოთ იმ კონფერენციაზე, რომელიც მოხდება ევროპაში ამ მსოფლიო ომის გათავების.

მე იმედი არა მაქვს, რომ სტამბოლის კონფერენცია ჩვენს სასარგებლოდ დასრულდეს. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ სამემრისოდ, ხმა ამოვიღოთ იმ კონფერენციაზე, რომელიც მოჰყვება მსოფლიო ომს.

ახლა ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმ ადგილზე, სადაც დეკლარაცია ამბობს ჩვენს შინაურ საქმეებზე.

ამ ადგილის მთავარი აზრი არის ანარქიის ნიადაგის სრული მოსპობა და სახელმწიფოს განმტკიცება. დეკლარაცია ამტკიცებს, რომ მხოლოდ ერთი მთავრობის უფლებებით აღჭურვილი ორგანო უნდა განაგებდეს ჩვენს ქვეყანას.

ყოველ მთავრობის მისწრაფება ის არის, რომ ესეთი სახელმწიფო წესწყობილება დაამყაროს. სურვილს, წადილს, შემოქმედებაც უნდა მოსდევდეს.

სწორედ მათი მოქმედება, ვინც უდგა სამშობლოს სათავეში გვარწმუნებს ჩვენ, რომ ყოველდღე მთავრობის მოქმედება ირღვევა. ირღვევა ეს დებულება.

ის ზომები, რა ზომებსაც იგი მიმართავს, ის პრინციპები, რა პრინციპებითაც გამოდის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, ის მეთოდი გამგეობისა და მართვისა, რომელსაც ადგია სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, სწორედ ამ დანიშნულ მიზანს ვერ მიაღწევს.

პროვინცია ჩვენი მოშორებულია ცენტრს. ეს ეროვნულ საბჭოს ტრიბუნიდან უნდა ითქვას. არ არის გაბმული ის ქსელი, რომელიც გამბმული უნდა იყოს ცენტრსა და პერიფერიების შორის. თითქმის ყოველივე ბრძანება მთავრობისა არ სრულდება იმის და მიხედვით რასაც საჭიროებს მთავრობა. ათასი მრავლობითი მაგალითი არის იმისი, რომ ადგილობრივ მსახურთ არ აესრულებინათ ის, რის ასრულებაც საჭირო ყოფილა მთავრობის ბრძანებით.

ამას ილუსტრაცია არ უნდა, რადგან ეს კარგად ვიცით.

მაშასადამე, რომ ეს ასრულდეს არის რაღაც სხვა პირობები, რომელიც ესაჭიროება მმართველ მთავრობას, რომ ეს სურვილები აისრულოს.

ამის გარდა დეკლარაციაში, არის ნათქვამი ეკონომიურ განვითარებაზედაც—ნათქვამია, რომ საჭიროა უპირველეს ყოვლისა ფინანსების მოწესრიგება, ფულის მოჭრა, შინაურ და გარეშე სესხის აღება. ამ უკანასკნელს რა თქმა უნდა შეჩვეულნი ვართ. ამას წინ არავის დაუდგება.

მაგრამ მე მინდოდა შინაარსი მივეცეთ ამას, რაც ნათქვამია ამის შესახებ დეკლარაციაში.

დეკლარაციაში საერთოდ არის ნათქვამი, რომ საჭიროა ფინანსიურ სისტემის გამაგრება, სესხი და სხვა. ეს მხოლოდ სურვილებია.

გადავხედოთ თვით ჩვენს ფინანსიურს სისტემას. ის უთვალავი ხარჯი, რომელიც გვაქვს ჩვენ ყოვლად შეუძლებელია, რომ დიდხანს განვაგრძოთ. ამასთან თვით ფინანსთა მინისტრმა არ იცის ხვალ რა ხარჯს მოსთხოვენ სახელმწიფოს საჭიროებისათვის, სხვადასხვა დაწესებულებათათვის რამდენი უნდა გადაიდოს.

ასეთი ფინანსიური სისტემა, როგორიც ჩვენ გვაქვს არ შეიძლება.

უნდა იყოს ანგარიში მოთავსებული რაიმე ფარგლებში. უნდა გვქონდეს ბიუჯეტი. ერთი დღე სახელმწიფოს სიცოცხლე არ შეუძლიან თუ არ იცის ბიუჯეტი. ის ოჯახიც კი რომელსაც წინასწარ არ აქვს გათვალისწინებული თავისი ხარჯები და აქედან შემოსავალი და ამ შემოსავლის კვალობაზე არ იქცევა უკან უკან მიდის. რაც უნდა ძნელი იყოს ბიუჯეტის შედგენა იგი უსათუოდ უნდა შესდგეს.

დღეს გაჩნდება ხოლმე ისეთი დაწესებულება, რომელიც მთავრობას აზრადაც არა აქვს Самочинно რომ იტყვიან ხოლმე სწორეთ ისე.

ამის მაგალითები ბევრია.

ვინმე დამშეულ კაცს მოუნდება რაზმის შედგენა, მოითხოვს ფულს და სამხედრო წრეებში თითქმის ყოველთვის აკმაყოფილებენ ასეთ თხოვნას.

თუ ფინანსთა მინისტრს რაიმე მასშტაბი არა აქვს ეს იქნება ის თვალდახუჭული კაცი, რომელიც სადმე ხრამში გადაიჩეხება.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან უსათუოდ შეადგინოს ბიუჯეტი. მაშინ ფინანსების მინისტრს ეცოდინება მაინც, რომ ესა და ეს დაწესებულებანი არსებობენ, რომ მათ ამდენი ხარჯი დასჭირდებათ და ასე ანგარიში გვექნება ჩვენს ხარჯებისა.

ახლა უნდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა აგრარულ საკითხის შესახებაც.

მთავრობა ბრძანებს, რომ იგი ეცდება ბოლომდის გატაროს დაწყებული აგრარული რეფორმა, ე. ი. შესძლებს თუ არა ამ რეფორმის გატარებას იგი თვით არ იცის.

მაგრამ ჩვენ ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ ამ კანონს რაიმეც ორგანიული ნაკლი აქვს, რომ ძნელია ცხოვრებაში გატარდეს.

მის შესახებ მე ბევრს აღარ ვიტყვი. შეიძლება ეს კითხვა რომ დაისმულიყო, სეიმის მიერ მიღებული რეფორმა მიიღება თუ არა საქართველოს ეროვნულ საბჭოში—შეიძლება კიდევ გვეთქვა რამ, მაგრამ საბჭო რომ გახსენით დაავაკანონეთ სეიმის მიერ მიღებულ რეფორმების განხორციელება. ჩემის აზრით ეს კანონი უნდა დაბრუნდეს ჩვენს პარლამენტში. დამფუძნებელ კრებაზე ეს კანონი ხელმეორედ უნდა გაიარჩეს და დამტკიცდეს იმ ხალხის მიერ, ვისაც ეს შეეხება. მე მგონია კარგი იქნებოდა, რომ ეს კანონი გადაისინჯოს ქართულ პარლამენტში. იგი უნდა დაკანონდეს მათ მიერ ვისაც იგი შეეხება. ამიტომ მოვითხოვთ, რომ ეს კანონი დაბრუნდეს იქ, ჩვენს პარლამენტში და იქ გამოაშკარავდეს ის ზომები რომლებიც გატარებენ ცხოვრებაში ამ რეფორმას.

დეკლარაციაში ერთი მხარეს გვერდი აქვს ახვეული. არ აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული სურსათს. იდეალურიც რომ იყოს პოლიტიკა იგი ხალხს არ ესმის თუ მას სიმშილი აწუხებს.

ძველ რეჟიმის დროსაც კი, როცა სურსათი ნაკლებ იყო კვირა არ გადადიოდა, რომ შეკითხვა არ შესულიყო მთავრობაში, თუ როგორი იყო სურსათის საქმე. დღეს კი, რამდენადაც ვიცი, არ ყოფილა ასეთი შეკითხვა და არც მთავრობას მიუცია რაიმე განმარტება. სოფლებიდან პურის გამოტანა გაძნელდება რადგან დღეს ყოველი სოფელიც დაღუპვის გზას ადგას. ყველგან ბლომად მოიპოვება ქაღალდის აუარებელი ფული და საჭირო სამიწად მოქმედი იარაღი კი არ მოიპოვება. რამდენადაც ვიცი 1 ფუთი რკინა, ფუთი ლურსმანი 12 თუმანია, სოფლელს არა აქვს ნიჩაბი, ბარი გუთანი. ამის შესახებ არ შეიძლება მთავრობას მოკლედ მაინც არ გამოეთქვა თავისი აზრი, რადგან შეიძლება მალე გირვანქა პური 4—5 მანეთი გახდეს. შეიძლება მთავრობას ის აზრი ჰქონდა რომ ხალხი ახალ მოსავლამდის მოიცდის, მაგრამ აღელვებული ხალხი ახალ მოსავალს არ მოუცდის.

ეს საკითხი ისეთი საკითხია, რომ მთავრობამ ზომა უნდა მიიღოს მოსალოდნელ უბედურებიდან გადასარჩენად. შემოდგომის ნათესები, რომლებიც ყოფილ აზნაურების ხელში იყო დღეს კომიტეტების ხელშია. მთავრობა თუ დღესვე არ შეუდგა ამ ნათესების შესახებ ზრუნვას ეს სრულიად დაიღუპება. სოფლელები ნათესებს არ უფრთხილდებიან, საქონელი ჰკრნახულს სთელავს და აძოვებს მაშინ, როდესაც არც ერთი თავ თავი და არც ერთი მარცვალი პური არ უნდა დაეკლდეს მას ვინც დათესა.

დეკლარაციის გარდა, თუ თავმჯდომარე ნებას მომცემს, რაკი ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის, მსურს ცოტა რამ ვსთქვა დეკლარაციის გარეშეც. ბატონო თავმჯდომარევ, მომცემთ ნებას? (თავმჯდომარე ნებას რთავს.) მე მინდა ჩვენს ერთ ჩვეულებაზე მოგახსენოთ მართვა-გამგეობაში.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ისე გართულდა ცხოვრება, რომ ყოვლად შეუძლებელია ერთი კაცი თუ გინდ იგი გენიოსიც იყოს ყველა საქმეში გამოდგეს.

საჭიროა სპეციალური ცოდნა სხვა და სხვა დარგების. ამა თუ იმ საქმეს უნდა ჩაუდგნენ იმ პროფესიის ხალხნი, რომელთაც სწორედ იმ საქმის შესახებ მიუღიათ ცოდნა, რომ საქმეს რიგიანად მოუარონ.

ეს თვისება საჭიროა ჩვენც გამოვიყენოთ. თუ მარტოდმარტო ერთ რომელიმე სპეციალურ საგნის მცოდნეთ მივანდოთ ყოველივე საქმეს, ქვეყნის გამგებლობას, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ისინი სპეციალურ საგანს შეიტანენ და ცხოვრებას დააშორებენ, ამიტომ მათ გვერდით უნდა ამოვუყენოთ ის პირნი, რომლებმაც იციან ხალხი. აი ამ ორმა შეკავშირებულმა ძალამ უნდა განაგოს ხალხის ბედი.

ის მიმართულება კი, რომელიც სათავეში უდგია სამშობლოს ერთს ადგას, ერთ პრინციპს მისდევს. მის რწმენით მინისტრიდან მოყოლებული უბრალო ჯარისკაცამდე იმ მიმართულებისა უნდა იყოს, რა მიმართულებისაც თვითონ არიან.

უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთ ქვეყნებში სწორედ ეს მიმართულება გახლავთ გამეფებული. სწორედ ეს არის ბიუროკრატიული წყობილება.

ინგლისში ყოვლად შეუძლებელია, რომ პოლიტიკურ მიმართულების მიხედვით რომელიმე პირი ან მიიღონ და ან დაითხოვონ სამსახურიდან.

შეიძლება რომ კონსერვატიული კაბინეთი იყოს ინგლისში, არც ერთი სხვა მიმართულების საჭირო კაცს არ დაითხოვენ. მინისტრები თანამდებობიდან სდგებიან, მაგრამ პორტფელიან მინისტრის ამხანაგებიდან მოყოლებული დაბალ თანამდებობის პირებამდე თავიანთ თანამდებობაზე რჩებიან. და ამას დიდი პოლიტიკური პატიოსნება უნდა. იქნებ ჩვენში ეს მოიპოვებოდეს. მაგრამ მე მრწამს, რომ ქართველ ერის პატიოსნება არ გახრწნილა ისე მე-19-ე საუკუნის ჩვენ მდგომარეობით რომ პატიოსნება დაეკარგოს. ინგლისში ეს ადათია ჩვენც უსათუოდ ეს უნდა მივიღოთ. პოლიტიკას ვინც აწარმოებს ის არის პასუხისმგებელი და არა ყოველი მოხელე. მინისტრი კი აწარმოებს იმ პოლიტიკას, რა პოლიტიკასაც აწარმოებს საბჭო. თუ ამ ადათს შემოვიღებთ ჩვენ მგონი გვაქვს იმდენი გამოცდილება და ძალა ისე ვაწარმოვოთ საქმე რომ საქართველომ მიიღოს ნამდვილი სახელმწიფოებრივი სახე.

ახლა უნდა მოგახსენოთ მეორე რამეც. იქნებ საყვედურიც მივიღო მის შესახებ მაგრამ მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, რომ სწორედ აქედან ამ ტრიბუნიდან ითქვას.

ჩემი ზნე და ჩვეულება გახრწნილია უწინდელ დროში, როდესაც მივდიოდით ჩვენ რაიმე წინანდელ დაწესებულებაში ჩვენ ლანძღვით შეგვხვდებოდნენ და ცემით გამოგვისტუმრებდნენ.

უწინ ჩვენ არ გვქონდა სკოლა საიდაც ხალხი აღზრდას მიიღებდა. ერის აღზრდას ბევრს ჰშველის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. თუ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ყველაფერში სიწმინდე ეტყობა ხალხი ამას ითვისებს.

ასეთ სიწმინდეს მოკლებული იყო უწინდელი დროის ორგანიზაცია, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ამ მხრივ, ბევრი რამ არის უარსაყოფი ჩვენს ყველა ორგანიზაციებში, ჩვენს დაწესებულებებში. ყველა კაცი ჩვენს დაწესებულებაში ისე უნდა შევიდეს, როგორც მორწმუნე შედის ეკლესიაში.

ორგანოები ჩვენი მმართველობისა გახრწნილია, ვეღარ გაუგიათ სად არის სახელმწიფო ჯიბე და სად კერძო.

ეს უტყუარი ფაქტია. ამაში დარწმუნდებით თუ პროვინციას გადახედავთ. მთავრობამ ყოველივე ზომები უნდა მიიღოს მათ წინააღმდეგ. განდევნეთ უზნეო ხალხი, რომ ჩვენი დაწესებულებანი განიწმინდნენ.

ის თვითნებობა, რომელსაც იჩენენ, დაწყებული მინისტრიდან უბრალო თანამდებობის კაცამდე—შეუწყნარებელია.

შეიძლება ეს იმით ახსნან, რომ კანონი არა გვაქვს, მაგრამ ვინც მაღლა სდგას იმას მეტიც მოეთხოვება, მან თავის მოთხოვნილება უნდა დაუმორჩილოს სინდისს და პატიოსნებას.

(შემდეგი იქნება)

## კანონპროექტი.

სახელმწიფო კონტროლის თანამდებობის დაარსებისადა კონტროლის ახალ დებულების შემუშავებისა.

1. დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობა სახელმწიფო კონტროლიორისა, რომელიც აირჩევა ეროვნულ საბჭოს მიერ, არ შედის მინისტრთა კაბინეთში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნულ საბჭოს წინაშე. ახლად არჩეული კონტროლიორი დროებით ხელმძღვანელობს არსებული რუსული კანონდებულობით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მთავრობასა და კონტროლის შორის მომხდარ უთანხმოებას არჩევს და საბოლოოდ გადაწყვეტს ეროვნული საბჭო.

2. შემუშავება ახალ კანონ-პროექტისა სახელმწიფო კონტროლისა, მისი შტატების და უფლება-მოვალეობის შესახებ მიენდოს საფინანსო და იურიდიულ კომისიების შეერთებულ კრებას ახლად არჩეულ კონტროლიორთან ერთად.

## განჯაში

11 ივნისს ნური-ფაშას ბრძანებით განჯის სომხებით დასახლებული ნაწილი გარშემორტყმულ იქმნა ოსმალეთის ჯარით. ესეთმა მოულოდნელმა თავდასხმამ შიშის ზარი დასცა მცხოვრებლებში. ოსმალები ითხოვდენ, რომ სომხებს დაუყოვნებლივ გადაეცათ მათ ხელში მყოფი მთელი იარაღი. სომხების ეროვნულმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ დელეგაცია გაუგზავნა ოსმალოს მთავრობას, რათა გამოერკვია, თუ ხსენებული ბრძანება, ნამდვილად მათგან იყო გამოცემული.

როდესაც დელეგაცია დარწმუნდა, რომ ბრძანება ნამდვილად ოსმალეთის მთავრობის იყო, სახალხო მიტინგზე წინადადება მისცეს ხალხს და ურჩევდნენ დამორჩილებოდნენ მთავრობას და მით თავი დაეხსნათ განადგურებისაგან. 13 ივნისს დაიწყო იარაღის ჩაბარება. ოსმალებს ფურგონებით გაჰქონდათ იარაღი ქალაქის სამაჰმადიანო ნაწილში. ისინი, ვინც არ დამორჩილდენ, იარაღით ხელში მთებისკენ გაიხიზნენ იმ აზრით, რომ ოსმალებს შებრძოლებოდნენ.

განჯა სავსეა ოსმალელი ოფიცრებით და ჯარის კაცებით, რომელნიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მაჰმადიანთა კორპუსის რუსის ოფიცრებს. მაღაზიებში ოსმალოები ფასს იხდიან ნიკოლოზის ას მანეთიანებით და ოსმალური ლირებით, რომლის კურსი ისე აიწია, რომ რუსული მანეთი 8 კაპიკზედ დავიდა.

12 ივნისს სომეხ-თათართა შეტაკების დროს მოკლულ იქმნა გიმნაზიის დირექტორი ზოგოლეპოვი; მისი ცოლი, რომელიც მოკლულის ცხედრისაკენ გაიქცა, სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა და რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

## ბრძოლა ბოლშევიკებთან

სად. სადირთან და ქერარის შუა ბაქოდან მოვიდნენ ბოლშევიკთა ჯარები. მათ დაუხვდა ჯავშნიანი მატარებელი. გადმოსვლისათანავე მათ ხელი მიჰყვეს ნათესის მკას, რაც კი რკინის გზის გასწვრივ დახვდათ. მოიმკილი ძნებად შეკრეს, შეაწყეს ვაგონებზე და ბაქოსკენ გააქციეს.

◆ სად. სადირთანვე ბოლშევიკებსა და თავ. მაღალაშვილის ჯარებს შეტაკება მოუხდათ. მაღალაშვილის შტაბი მისულში გადავიდა. მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ ბაქოელ ბოლშევიკებს თან ჰქონდათ ერთი მორტირისა და ორიც საველე ბატარეები. განჯიდან მაღალაშვილს მიაშველეს ჯავშნიანი მატარებელი და მოხალისეთა ერთი ეშელონი ორი ზარბაზნით.

## გორჩალოს ბრძოლის შედეგი

ჟურნალისტებთან საუბარის დროს ერთმა ავტორიტეტულმა პირმა განაცხადა, რომ გორჩალოს მაზრაში მომქმედი რაზმი სანაინს გასცილდა. გორჩალოს მაზრიდან თბილისში ჩამოვიდა დელეგაცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ოსმალეთის აგენტებიც შედიან, დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია საქართველოს მთავრობას განუცხადონ, რომ მზად არიან მისი ყველა მოთხოვნილებანი შეასრულონ. დელეგაციასთან მოლაპარაკება სწარმოებს.

## წერილი რედ. მიმართ

გაზ. „ერთობაში“ 118 ნომერში ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირის გამგეობამ“ მე პროტესტი გამომიცხადა. მე ამ „გამგეობას“ ოფიციალურ წერილში შევეკითხე თუ ვინ შედის ამ „გამგეობაში“, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ამისათვის ვეკითხები „გამგეობას“: 1. ვისგან შესდგება „გამგეობა“.

2. რას წარმოადგენს „ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირის გამგეობა და

3. ამ „მუსიკოსთა კავშირში“ არიან მუსიკოსები თუ არა?

ილიკო აბაშიძე.

## წარსულის პაგადონი

მიხეილ ბართველის ძე თუმანიშვილი

(გარდაცვალების ასის წლის თავზედ)

(დასასრული *)

სამსახურში ბარათაშვილივით გულმოდგინედ ჩავება მიხ. თუმანიშვილიც და იქ გადიშალა სავსებით მისი შთა-

*) იხ. „საქართველო“ № 118.

მომავლობითი თან-დაყოლილი ნიჭიც მშვიდობიანის მოქალაქეობრივის, მმართველისა, ნიჭი მდივნობისა, კანონმდებლობისა. სენატორის განის თავმჯდომარეობით კომისია ადგენს პროექტს კავკასიის ახალის სამოქალაქო მმართველობისას, მის მარჯვენა ხელობას სწევს ჩვენი ჯერ ისევ ახალგაზრდა მოხელე.

1842 წელს მიხ. თუმანიშვილი დანიშნულ იქმნა განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ ქართლ-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის ხელ-ქვეით და თან ახლდა ამ გუბერნატორს, როცა ათვალიერებდა გუბერნიას სარევიზიოდ. 1847 წლიდან უკვე მმართველია ტფილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიისა, რომლის ხელშიც არის მგრეთვე სამოქალაქო საქმეთა უწყებაცა. ამ თანამდებობის ასრულების დროს იღებს მონაწილეობას ოსეთის სამხედრო ექსპედიციაში და მალე ინიშნება იმავე გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილობით უფროს მოხელედ და ხშირად აკისრებენ მძიმე დანაშაულობათა გამოძიების საქმეს, სამაზრო მმართველობათა რევიზიას, ხოლო შემდეგ საგუბერნიო მართველობის გეზირად და მოთათბირედ ჰნიშნავენ. უნდა ვიცოდეთ, რომ ტფილისის გუბერნიას ეკუთვნოდა მაშინ განჯისა და ერევნის გუბერნიაცა და აგრეთვე ზაქათალის ოლქი და მაშასადამე სფერო მისის საქმიანობისა ფრიად ფართო იყო. ამ დროს გუბერნიას უდგა სათავეში გენ. ლეიტ. ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი, რომელმაც ისე გაითქვა სახელი თვისის გმირობით ყირიმის ომის დროს.

1858 წელს მიხ. თუმანიშვილი დანიშნულ იქმნა ა. ი. ბარიათინსკის მიერ დაარსებულ კავკასიის და ამიერ-კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მოწყობის და წყობილების განყოფილების რედაქტორად. ამ განყოფილებაში განიხილებოდა არა ერთი და ორი საყურადღებო საკანონმდებლო პროექტი; აქვე ითხზებოდა მთელის ჩვენის ქვეყნის სამოქალაქო წეს-წყობილების ხელ ახალ-ახლად გარდაქმნის პროექტები. ამ თანამდებობიდან დაუთხოვნელად, 1861 წლიდან მასვე აბარებენ საქართველოს ყმების ყოფა-ცხოვრების მომწყობ ცენტრალ კომიტეტის საქმეთა მართველის თანამდებობას. ეს კომიტეტი დიდს საქმეში იყო იმ დროს და თავმჯდომარედ ჰყავდა ჯერ საუფლოს ნაცვლის მთავარ-სამმართველოს უფროსი სენატ. კრუზენშტერნი, ხოლო შემდეგ ბარონი ა. პ. ნიკოლაი, შემდეგ განათლების მინისტრად ნამყოფი და ალ. ჭავჭავაძის სიძე. საზოგადოდ მიხ. თუმანიშვილს მინდობილი ჰქონდა მთელი საქმეთა-წარმოება საუფლოსნაცვლის მთავარის სამმართველოსი, რაც კი სამართლებრივ რეფორმას შეეხებოდა.

რეფორმის შემდეგ მთელის ათის წლის განმავლობაში ყველა სასამართლო დებულება ამიერ-კავკასიისათვის მისგან არის შედგენილი. 1864 წელს დანიშნა ახლად დაარსებულ სასამართლო საქმეთა მოწყობის კანცელარიის გამგედ. ამავე დროს იყო გამგე გლეხთა მოწყობის კომიტეტის საქმეებისა, ხოლო შემდეგ თვით კომიტეტის წევრად.

ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე, სენ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონთან ერთად გამოგზავნილ იქმნა პეტროგრადს, საცა უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებათათვის უნდა წარედგინათ პროექტები სამართლო რეფორმისა კავკასიაში.

1866 წელს მიხ. თუმანიშვილს ეთხოვა მონაწილეობა მიეღო, როგორც წევრს, იმ კომიტეტში, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მთაში დამოკიდებულებათა წოდებათა განთავისუფლების საქმეთა მოწყობა.

პროფ. ა. ხახანაშვილი სწერს ლიტერატურის ისტორიაში, რომ თითქმის მთელი სამეურნეო მუშაობა ბატონ-ყმობის გადავარდნის საქმეში მიხ. თუმანიშვილმა იტვირთა და თავის მხრებით ჰზიდა მისი სიმძიმე ბოლომდეო. ეს მუშაობა ფრიად დიდი და მძიმე იყო, იმიტომ რომ არა გვგონია ისე იყოს სხვაგან სადმე აჭრელებული და განურკვეველი ზნე-ჩვეულება მამულის მფლობელობისა და სარგებლობისა, როგორც კავკასიაში, საცა შედარებით პატარა სივრცეზედ 30 სხვადა სხვა ტომი სცხოვრობს და 30 სხვადა სხვა ენასა და კილოზედ ლაპარაკობსო.

თვით მესვეური ამ საქმისა კავკასიაში ბარ. ა. ნიკოლაი, რომელმაც დანიშნა პირველ მომრიგებელ შუამავლად ილია ჭავჭავაძე, ასე სწერს თავის მოგონებაში მიხ. თუმანიშვილის თაობაზე: *)

„არ შემიძლია გულითადის პატივისცემით არ მოვიგონო ეს დაუღალავი, კეთილსინიდისიერი მუშაკი, რომელიც მთლად ჩემს თავმჯდომარეობის დროს სამართლო რეფორმის კომიტეტში იყო ჩემი ყოვლად სასარგებლო და თავის მოვალეობის ერთგული თანამშრომელი“.

ვინც იცის, რა ძუნწი იყო სხვის ქებაში ა. ნიკოლაი, ის დააფასებს ამ სიტყვებს.

ერთ ხანს თავ-მოწონებული საზოგადო და სალიტერატურო მოღვაწეობა კვლავ იზიდავს ჩვენს გამობრძმედებულს მოხელეს. მოხელეობამ, ჩინოვნიკობამ ვერ გაუგრილა გული, ვერ შეასუსტა სიყვარული ქართულ საქმიანობისა საზოგადოებისა და მწერლობისადმი. ამ დროს განახლდა ერეკლე მეფის დროს დაწყებული და პოლიტიკურ აურზაურიანობის გამო ჩამქრალი საქმე ქართულის თეატრისა. მიხეილ თუმანიშვილი, ისე, როგორც ოცის წლის შემდეგ მისი შვილი გიორგი, თავს ევლება ამ თეატრს, გულ-მტკივნეულობს მისთვის, სცდილობს მოყვარულთა წარმოდგენებში, მოსარჩლეობს თეატრს და მზრუნველობს მისთვის დიდის სიყვარულით, დიდის შეგნებით და ჰკუა-დამჯდარობით. მისი წერილები ქართულ თეატრისა, რეპერტუარისა, რეჟისორისა და მაშინდელ არტისტების შესახებ გაზეთ „Кавказъ“-ში დიდის ყურადღების ღირსია ჩვენის თეატრის ისტორიის მკვლევარისათვის და ნამდვილი დამსახურება და ღვაწლია ჩვენის საზოგადოების წინაშე.

ამავე დროს მიხ. თუმანიშვილი მონაწილეობს ჟურნალ „ცისკარში“ და კისრულობს მკვდარ ჟურნალის გამოცოცხლებას პუბლიცისტურის ნაკადის შეტანით მწერლობაში. კრიტიკა და პუბლიცისტიკა ახალი ხილი იყო მაშინ და არც ადვილი ხელ-მისაკიდებელი. მოლაყბეს ფსევდონიმით, ხუმრობისა და ქილიკობის სახით, რათა არავინ გადიკიდოს, რისხვასავით ეცემა თავს მაშინდელს ჩვენს გულ-გრილობას ამ მუდმივ სენს ქართველობისას, გულგრილობას მწერლობისადმი, საზოგადო ცხოვრებისადმი, გონების წარმატებისა და საზოგადოდ კულტურისადმი. ესეც დიდი და დაუვიწყარი ღვაწლია მწერლობის წინაშე, რასაც გვერდს ვერ აუვლის ჩვენის ლიტერატურის ისტორიკოსი და, რაც ისეთის სიმართლით და გულ-თბილობით აღნიშნა უკვე ჩვენმა ნიჭიერმა პუბლიცისტმა, უდროვოდ გარდაცვალებულმა არ. ჯორჯაძემ*).

განხორციელდა დიდი რეფორმაცა, რომელმაც დიდად წასწია წინ ჩვენი ცხოვრება და შესაძლებელ ჰყო ჩვენის ეკონომიურისა და სოციალურის ცხოვრების წარმატება, კულტურული განვითარება და საფუძველი ჩაუყარა ეროვნულს შეგნებას, ქართველთა ვინაობის გამორკვევას და გაერთსულოვნებას. ახლა მიხ. თუმანიშვილი, ეუცნოსი ძე ბირთველისა, უკვე ხანში შესული, დამსახურებული მოღვაწე, წევრია საუფლოსნაცვლის საბჭოსი და თავისუფლად დაუღალავად იღებს მონაწილეობას მრავალ საკულტურო საქმეში. თუ ახალი რამ საზოგადოება არსდება, წესდებას ადგენს, თუ სამეცნიერო საზოგადოება არსდება, ეხმარება რითაც-კი შეუძლიან; მუზეუმი არსდება და შიოულობს ძველებურს ნივთებს, სამუზეო იშვიათს სამკაულს და აგროვებს მისთვის სხვა და სხვა კოლექციას. თან ხმოსანია ქალაქის თვითმართველობაში და იღებს დიდს მონაწილეობას სათავად-აზნაურო საქმეებში, უფრო-კი ბანკის გარშემო ატეხილს დავიდარაბაში. მაშინ ორ დასად გაიყო თავად-აზნაურობის მესვეურთა ბანაკი: ერთში უფრო ხანში შესულნი იყვნენ გრ. ორბელიანის უფროსობით და მომხრეობდნენ მოკლევადიან სესხის ბანკის დაარსებას, ხოლო მეორენი ილიას მეთაურობით ახალგაზრდანი—მომხრენი გრძელ-ვადიან სესხის ბანკის დაარსებისა. ამიტომ იყო, რომ გამოცანებში არც მიხეილ თუმანიშვილი გადაურჩა ილიას მახვრელს კალამს. მაგრამ ხანში შესულობისას ბევრს იმათგანს, ვისაც ისეთი თავ-ზარი დასცა ამ გამოცანებით, გულ-წრფელად შეურიგდა, აღვიარა თვისი გულ-წრფელობა და შეცდომა.

სიკვდილამდე არ გადულგრილებია მიხ. თუმანიშვილი არც საზოგადო მოღვაწეობასა და არც მწერლობას. როცა „დროება“ დაარსდა დაჰბეჭდა წერილი დრამა „მაიკოს“ წარმოდგენის გამო. ხოლო როცა დაიწყო გამოსვლა პირველმა დამოუკიდებელმა რუსულმა გაზეთმა „Тиф. Вѣстн.“-მა მოათავსა ამ გაზეთში ვრცელი წერილი—ისტორია ტფილისის თეატრისა, რომელიც აგებული იყო თამამშოვის ქარვასლის შუა-გულ და რომელიც დაიწვა 1874 წელს, რამდენისმე თვის წინად მიხ. თუმანიშვილის გარდაცვალებისა.

გარდაიცვალა მიხ. თუმანიშვილი 2 თიმვრვალს 1875 წელს, დაბადებიდან 56 წლისა. ხანგრძლივმა და გამუდმებულმა გონებრივმა მუშაობამ, მუდმივმა და ბევრმა წერამა და კითხვამ უდროვოდ დაბერა, დაასნეულა, ბოლოსა და ბოლოს დასჩემდა გულის ფრიადი, უძლობა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა და თვალ-ყურს ადევნებდა მწერლობას, ქართულსა და რუსულს, ჰზრუნავდა ოჯახისა და შვილებისათვის, მათის აღზრდისათვის. სიკვდილის წინად დაწერილს დაუსრულებელს წიგნში, რომელსაც სწერს თავის სტუდენტ შვილს გიორგის, უჩივის მწერლობასა და ცხოვრების მოდუნებას, უილაჯობას, უხალისობას, არარაობას და დასძენს:

„თუ რამ შეიძლება წაიკითხოს კაცმა ინტერესითა და ხალისით, ეგ ისევ წერილი ძველის სემინარისტისაა (გრ. ორბელიანის ფსევდონიმი „ცისკარში“). ავტორი იჩენს არამც თუ დიდს კრიტიკულს ტაქტსა და ესტეტიურს გამოთქმებს, არამედ დიდს ფსიხოლოგიურს ცოდნასაც; რომელიც არ ჩამოუვარდება სისწორითა და ზედ-მიწევნილობით პროფ. ცაგარლის ცოდნასა (ახლა დაიბეჭდა იმისი კრიტიკული ეტიუდი „О граммотической китературѣ груз. языка“.

მიხ. თუმანიშვილი, არამც თუ თვითონ იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, შვილებიც მწერალნი და მოღვაწენი დასტოვა. ქალი ანასტასია, რედაქტორი „ჯეჯილისა“, დამაარსებელი „განათლების“ 1-ლად სკოლისა და ხასტატო სემინარიისა, ქვრივი ჩვენის ისტორიკოს-არქეოლოგისა და ბელეტრისტის გ. წერეთლისა „კვალის“ დამაარსებელისა; გიორგი, დირექტორი ტფილისის პირველი ნდობის საზოგადოებისა, მწერალი და რედაქტორი გამომცემლად ნამყოფი ძმებთან ვასილ და კონსტანტინესთან ერთად კერძო სალიტერატურო ორგანოს «Нов. Обозр.»-ისა. მთელი ოჯახი მთლად ლიტერატურის მოყვარული.

გრ. ყიფშიძე.

*) იხ. მისი „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ („სახალხო გაზეთი“ № 463, 1911 წ.

*) «Рус. арх.» 1892 г. № 8.

## თბილისის ქართული საფილარმონიო საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 26 თიბათვეს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია არა ჩვეულებრივი საგანგებო საზოგადო კრება, რომელზედაც კრებას მოახსენდება გეგმა საფილარმონიო საზოგადოების სამუსიკო სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. კრება დანიშნულია სკოლის ბინაზედ სოლოლაკის ქუჩა. (1—965—4)


პარასკევს, 26 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## საქართ. ერ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის 2-ე რაიონის
# წევრთა საზოგადო კრება

ი. მაჭავარიანი წაიკითხავს მოხსენებას: „საქართველოს მეურნეობის საფუძვლის მიწყობილებები და ერთა“. 3—1

## ცენტრალი კომიტეტი ქართულ
# სამხედრო კავშირისა

აცხადებს ქართულ ჰიმნის მუსიკის კონკურსს შემდეგის პირობებით:

I. თავისუფალი ფორმა ორი ან სამ ნაწილებისაგან.
II. ხალხური.
III. მკაფიო და მოკლე.
IV. ჰიმნი უნდა დაიწეროს მხოლოდ აკაპელა (სასიმღერო).

საუკეთესო ნაწარმოებს მიეცემა პრემიად 1000 მან. და 75 პროც. კონცერტის სუფთა შემოსავლიდან.

ჰიმნებს შეასრულებს ქ. ს. კავშირის ქალაქის მომღერალთა გუნდი. კომპოზიტორებმა ორიგინალი უნდა წარმოადგინონ 1 ივლისამდის (ახალი სტილით). მისამართი: ქ. თბილისი. ქართული კლუბი, სამხედრო კავშირი, მომღერალთა გუნდის გამგეს. (5—964—3)

## საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის
# ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად შემდეგნაირად:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკიდან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის ღელემდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ხიდიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ხიდიდან ორთაჭალამდე. თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

## ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, საზები და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სიმხოვანის აფთიაქის გვერდზე. 2 თვ.—1658.

ექიმი

## მ. ო. ზანდუკელი

ასსისენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ხამქ.... ნალთ კაბინეტი ექიმ

## ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ“-ის პირდაპირ ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

დარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

გ ა ი ხ ს ნ ა

## თვალის სამკურნალო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინომატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა მოსე ანთიმოსის ძე

## ბალანდარიშვილი

ყოფილი ექიმი აბ. კლინიკის კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ბრონქიალ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი

## მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქ. № 7, ვორონცოვის ხიდის ახლო სასტუმრო „ბომ-მონდის“ პირდაპირ. თ—1018—4[illegible]

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად შაქრიანი (ცი[illegible]ბა) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულსა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ [illegible] საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—4